საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 243

20 11 წ. "08" 09

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ

ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379070) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების - პროფესიული კოლეჯის სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 8 სექტემბრის №20 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
იოსებ სალუქვაძე

მდივანი
გაიანე სიმონია